

რა არის კორონავირუსი 2019?

კორონავირუსი 2019 არის ახლად აღმოჩენილი ვირუსი, რომელიც ამჟამად გავრცელებულია მსოფლიო მასშტაბით.



რა არის COVID-19?

COVID – 19 არის დაავადება, რომელიც გამოწვეულია ამ ვირუსით.

რა სიმპტომები ახასიათებს COVID – 19-ს?

COVID-19 დაავადების ყველაზე გავრცელებული სიმპტომები არის ტემპერატურის მომატება, დაღლილობა და მშრალი ხველა. ზოგიერთ ავადმყოფს ასევე აღენიშნება სხეულის ტკივილი, სურდო, სუნთქვის გართულება, ყელის ტკივილი ან დიარეა. უმრავლეს შემთხვევაში ეს სიმპტომები არის მსუბუქი ფორმის და დაავადება ნელ-ნელა ვითარდება.

ზოგიერთი ადამიანი ინფიცირდება, მაგრამ არ ავლენს არანაირ სიმპტომს და თავს შეუძლოდ არ გრძნობს. ადამიანების უმრავლესობის გამოჯანმრთელება სპეციალური მკურნალობის გარეშე ხდება.

თუმცა, ზოგი ადამიანი შესაძლოა სერიოზულად დაავადდეს, ზოგიერთ შემთხვევაში კი დაავადება ფატალურად მთავრდება. 65 წელზე მეტი ასაკის და ქრონიკული დაავადებების მქონე პირები დაავადების გართულების მაღალი რისკის ჯგუფში არიან.

Source: <https://www.who.int/health-topics/coronavirus>

როგორ ვრცელდება ვირუსი?

COVID-19 ვრცელდება ადამიანიდან ადამიანზე, ინფიცირებული პირის დაცემინების, დახველების ან ამოსუნთქვის დროს ცხვირიდან ან პირიდან გამოყოფილი რესპირატორული წვეთების საშუალებით.



რესპირატორული წვეთები შეიძლება მოხვდეს სხვადასხვა ობიექტსა და ზედაპირზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელი ადამიანის დაინფიცირება, თუკი იგი შეეხება ასეთ ზედაპირს და შემდეგ შეეხება პირს, ცხვირს ან თვალებს.



Source: <https://www.who.int/health-topics/coronavirus>

როგორ უნდა მოვიქცეთ მე ან ჩემი ოჯახის წევრი თუ მგზავრობის დროს შეუძლოდ გავხდით?

თუ თქვენ აეროპორტში ყოფნის დროს შეუძლოდ გახდით, გთხოვთ ამის შესახებ შეატყობინოთ იქ მყოფ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (მსო) წარმომადგენელს, რომელიც აღმოგიჩენთ დახმარებას. რესპირატორული სიმპტომების არსებობის შემთხვევაში, თქვენ გადმოგეცემთ ნილაბი და გექნებათ შესაძლებლობა თქვენი მდგომარეობის შემდეგი შეფასებისათვის მიმართოთ აეროპორტის კლინიკას.

თუ თქვენ თვითმფრინავში ყოფნის დროს შეუძლოდ გახდით, გთხოვთ ამის შესახებ შეატყობინოთ ბორტგამცილებელს. ბორტგამცილებელი იმოქმედებს ავიაკომპანიის პროტოკოლის მიხედვით.



იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს მოგზაურობის დროს თან ახლავს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (მსო) გამცილებელი სამედიცინო პერსონალი, გთხოვთ მათ შეატყობინოთ შეუძლოდ გახდომის შესახებ.



როგორ შემიძლია დავიცვა თავი და ხელი შევუშალო ახალი კორონავირუსის 2019 (COVID – 19) გავრცელებას ჩემი მოგზაურობის დროს?

1. მოერიდეთ დაავადებულ ადამიანთან მჭიდრო კონტაქტს. თუ შესაძლებელია, დაიცავით მინიმუმ ერთი მეტრის დისტანცია.



2. დახველების ან დაცემინებისას დაიფარეთ პირის ღრუ მოხრილი მკლავით ან ერთჯერადი ხელსახოცით და არა ხელით!



ხელსახოცი გამოყენებისთანავე გადააგდეთ ნაგავში და ხელები დაიბანეთ ან გაიწმინდეთ ანტისეპტიკური ხსნარით.



3. მოერიდეთ ხელებით ცხვირის, თვალებისა და პირის შეხებას.



4. ხელები ხშირად დაიბანეთ საპნითა და წყლით, სულ მცირე, 20 წამის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ არ არის ხელმისაწვდომი საპონი ან წყალი, გამოიყენეთ ხელების გასაწმენდი ანტისეპტიკური ხსნარი.

გაქვთ შეკითხვები? არ მოგერიდოთ, შეკითხვით მიმართეთ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (მსო) თანამშრომელს.



თავს გაუფრთხილდით და გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!